კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

აპრილი-ივნისი 2021

რეფორმის გეგმა „ადამიანზე ორიენტირებული მართლმსაჯულებისთვის“

ადვოკატთა ასოციაციამ მართლმსაჯულების რეფორმის გეგმა: “ადამიანზე ორიენტირებული მართლმსაჯულებისთვის“ წარადგინა, რომელიც ამერიკისა და ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით შეიმუშავა. სამოქმედო გეგმა საადვოკატო პროფესიის მრავალწლიან გამოცდილებას ეყრდნობა და სანდო, გამჭვირვალე და ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. კონფერენციაში მართლმსაჯულების სისტემის, იურიდიული პროფესიისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ასევე, საერთაშორისო პარტნიორები მონაწილეობდნენ. კონფერენცია ევროსაბჭოსა და USAID ის მხარდაჭერით ჩატარდა.

რეფორმის გეგმა გამჭვირვალე და ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული.

საკანონმდებლო წინადადება ფიზიკური პირი ადვოკატების დაბეგვრის განსაკუთრებული რეჟიმის თაობაზე

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს „საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკანონმდებლო ცვლილების წინადადება წარუდგინა. საკანონმდებლო ცვლილება საადვოკატო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირებისათვის დაბეგვრის განსაკუთრებული რეჟიმის დაწესებას გულუსხმობს. კომიტეტის სხდომაზე შეთანხმება შედგა, რომლის მიხედვით, ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც საკანონმდებლო წინადადების განხილვა გაგრძელდება.

საკანონმდებლო ცვლილება საადვოკატო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირებისათვის დაბეგვრის განსაკუთრებული რეჟიმის დაწესებას გულუსხმობს.

შშეთანხმება სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი N8 პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა, სადაც თავად გაეცნო იმ პრობლემებს, რომლებიც ადვოკატებს პატიმრებთან შეხვედრის პროცესში ექმნებათ. დავით ასათიანის N8 დაწესებულების ხელმძღვანელებთან შეხვედრის შედეგად, ადვოკატებისთვის მრავალსაათიანი რიგების პრობლემის მოსაგვარებლად შეთანხმება შედგა.

N8 პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული რიგების პრობლემის მოგვარების მიზნით უკვე დაიწყო მუშაობა ონლაინ პლათფორმის შესაქმნელად.

შეთანხმების თანახმად, გლდანის N8 დაწესებულებაში, დილის 9-დან 11 საათამდე ყველა, 28-ვე ოთახი, მხოლოდ ადვოკატებს დაეთმობა. ასევე, ადვოკატების შეხვედრებისთვის დრომ საღამოს 19 საათამდე გადაიწია.
ამავდროულად, ადვოკატთა ასოციაციამ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული რიგების პრობლემის მოგვარების მიზნით უკვე დაიწყო მუშაობა ონლაინ პლათფორმის შესაქმნელად.

დავით ასათიანი ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი გახდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს

ეს პირველი შემთხვევაა ევროპის ადვოკატთა პროფესიული გაერთიანებების ისტორიაში, როდესაც ვიცე-პრეზიდენტი ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის წარმომადგენელი გახდა.

"მადლობას ვუხდი ევროპელ კოლეგებს ნდობისთვის. ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის პოზიციაზე ჩემი არჩევა ქართული ადვოკატურის განვითარების, დამოუკიდებლობისა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის აღიარებასა და კიდევ ერთ მკაფიო მხარდაჭერას წარმოადგენს. ჩემთვის მთავარი პრიორიტეტი იქნება, რომ იურიდიული პროფესია ევროპის მასშტაბით კიდევ უფრო გაძლიერდეს და გაიზარდოს გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნების ადვოკატებისა და ადვოკატთა ასოციაციების მიმართ საერთაშორისო მხარდაჭერა იურიდიული პროფესიის ევროპულ ოჯახში მათი შემდგომი ინტეგრაციის მიზნით.“

განაცხადა დავით ასათიანმა.

ბენჩ-ბარი

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე გენერალური პროკურატურისა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლებმა მოსამართლეებთან ერთად აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშრებულ პრობლემურ საკითხებზე იმსჯელეს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ჭრილში.

მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულება უფრო ხარისხიანი და სანდო გახდეს ჩვენი საზოგადოებისთვის და თავიდან ბოლომდე ორიენტირებული იყოს თითოეული ადამიანის ინტერესებსა და მათი უფლებების დაცვაზე" -

აღნიშნა დავით ასათიანმა.

შეხვედრა ბრიტანეთის ელჩთან

ადვოკატთა ასოციაციას ბრიტანეთის ელჩი, მარკ კლეიტონი ეწვია. შეხვედრაზე ელჩს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ჭეხანმა ასოციაციის მუშაობის სპეციფიკა, მიმდინარე პროექტები და სამომავლო გეგმები გააცნეს.

მარკ კლეიტონმა ასოციაციასთან სამომავლო თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა.

შეხვედრაზე მხარეებმა მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ გამოწვევებზე, მათი გადაჭრის გზებსა და ამ პროცესში ადვოკატთა ასოციაციის მნიშვნელოვან როლზე ისაუბრეს.

შეხვედრა ევროკავშირის ელჩთან

ევროკავშირის ელჩმა, კარლ ჰარცელმა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, დავით ასათიანსა და ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს, გიორგი ჭეხანს საკუთარ რეზიდენციაში უმასპინძლა. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა სასამართლო სისტემის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს. შეხვედრის დროს განსაკუთრებული ყურადღება პრეზიდენტ შარლ მიშელის მედიაციით მიღებული დოკუმენტის არსის გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის პროცესის სანდოობისა და გამჭირვალობის მაღალი სტანდარტით ჩატარების აუცილებლობაზე გამახვილდა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის პროცესის გამჭირვალობის აუცილებლობაზე.

შეხვედრა დამოუკიდებელ ინსპექტორთან

აადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსა და ეთიკის კომისიის წევრებმა დამოუკიდებელ ინსპექტორთან სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრის მონაწილეებმა დისციპლინური სამართალწარმოებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. შეხვედრა ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ჩატარდა.

ეთიკის კომისიის წევრთა სამაგიდო წიგნი

სახელმძღვანელოში ეთიკის კომისიის მრავალწლიანი საქმიანობის გამოცდილებაა თავმოყრილი.

ადვოკატთა ასოციაციამ USAID/PROLoG-ის მხარდაჭერითა და ეთიკის კომისიის წევრთა ჩართულობით დისციპლინურ წარმოებაზე შეიმუშავა და გამოსცა სახელმძღვანელო, რომელიც დისციპლინური წარმოებით დაინტერესებული პირებისთვის არის განკუთვნილი. სახელმძღვანელოში თავმოყრილია 2006 წლიდან დღემდე, ეთიკის კომისიის საქმიანობის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და განკუთვნილია, როგორც კომისიისა და ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის, ასევე დისწიპლინური წარმოებით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ეფექტიანობის კვლევის ანგარიშის წარდგენა

“ეისითიმ” პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ეფექტიანობის კვლევის ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს წევრებს წარუდგინა.

კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია “ეისითიმ” (ACT) ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელებული ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ეფექტიანობის კვლევის ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს წევრებს წარუდგინა. სამუშაო შეხვედრაზე კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებები განიხილეს და ACT-ის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე ადაპტაციის პროგრამის ეფექტიანობის შემდგომი გაზრდის მიზნით სამომავლო გეგმები და შემდგომი ნაბიჯები დასახეს.

სამუშაო შეხვედრა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით გაიმართა.

სასწავლო ცენტრი

ტრენინგები ადვოკატებისთვის

ადვოკატის პორტალზე საანგარიშო პერიოდში, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში საჭიროებათა კვლევის შედეგად შერჩეული ახალი ტრენინგები განთავსდა.

თითოეული ტრენინგისთვის შემუშავებული მოდული ადვოკატთა საქმიანობის თავისებურებებზეა მორგებული. ტრენინგები, როგორც დისტანციურად, ასევე, ფიზიკურ სივრცეში მიმდინარეობს. უკვე არსებულ ტრენინგებს ახალი ტრენინგები ეტაპობრივად ემატება.

საანგარიშო პერიოდში განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში 20 ტრენინგი ჩატარდა.

ბავშვთა უფლებებში სპეციალიზებულის სტატუსი დამატებით180 ადვოკატს მიენიჭა, ხოლო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულის სტატუსი დამატებით 85 - მა ადვოკატმა მიიღო.

ვებინარების სერია აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე

„რას ფიქრობენ ადვოკატები მედიაციაზე" ამ თემაზე ასოციაციის Facebook გვერდზე ვებინარი და დისკუსია ჩატარდა. შეხვედრაზე ექსპერტებმა კვლევის პრეზენტაცია წარმოადგინეს, რომელიც ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა.

მასტერ ლიგა

ადვოკატთა ასოციაციის ახლად შექმნილი საფეხბურთო გუნდი „მასტერ ლიგის“ ფარგლებში შეხვერებს განაგრძობს. ამ დროისათვის მესამე ლიგის მოთამაშე გუნდებს შორის ასოციაციის გუნდი მოწინავე რიგებს იკავებს. „მასტერ ლიგის“ ფარგლებში მიმდინარე შეხვედრები „იმედის“ საფეხბურთო კომპლექსში ყოველკვირეულად იმართება.

ჭადრაკის ჩემპიონატი ♟

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საჭადრაკო გუნდმა მეგობრულ, ონლაინ შეხვედრაში აზერბაიჯანის ადვოკატთა გუნდი ანგარიშით 11.5 : 8.5 დაამარცხა. ორ ქვეყანას შორის გამართულ ტურნირში საერთო ჯამში 20 მოჭადრაკე ადვოკატი მონაწილეობდა. ტურნირი საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის თარიღებს მიეძღვნა.

ასოციაციის საჭადრაკო გუნდმა მეგობრულ, ონლაინ შეხვედრაში აზერბაიჯანის ადვოკატთა გუნდი ანგარიშით 11.5 : 8.5 დაამარცხა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საჭადრაკო გუნდის გამარჯვებულ წევრ ადვოკატებს ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა გამარჯვება მიულოცა და საპატიო სიგელები გადასცა.